

ახალი წესები * 2017 შემოდგომა



2017 წლის შემოდგომაზე – კაცთა ახალი საშინაო სეზონიდან – საქართველოშიც ამოქმედდება ის მორიგი "საცდელი წესები", რომლებითაც თებერვლიდან თამაშობენ ზე'რაგბში [წყარო @ 18/11_2016](#)

ამ სიახლეებს ჩვენი რაგბის თემი უკვე იცნობს საქართველოში გამართული 20 წლამდე მსოფლიო პირველობიდან, ბორჯღალოსანთა იენისის ტესტებიდან და ბრიტანეთის "ლომების" ზელანდიური ტურნიდან

მათი არსი შემდეგია:

1. "საჯარიმო ლელო" დაფასდა 7 ქულად – გარდასახვა აღარ დაირტყმება

და თუ დრო არ ამოწურულა, თამაში განახლება ცენტრიდან

+ სტატისტიკაში ამ – ახლებურ "საჯარიმო ლელოს" ვუწოდებთ "შვიდ'ქულიან"ს, რათა განვასხვავოთ აქამდელისგან

ვებ და საგაზეთო ოქმებშიც "შვიდ'ქულიანი" გამოიყოფა ცალკე, ამგვარად – "შ"

2. დროის ამოწურვის შემდეგ (ნებისმიერ ტაიმში) შესაძლებელი გახდა ჯარიმის "კიდევ გადატანა" (აუტში დარტყმა), რათა ბურთი დერეფანში მოაწოდო

საამისოდ ბურთი დარტყმის შემდეგ არ უნდა შეეხოს სხვა მოთამაშეს (მეტოქეს) – თორემ ტაიმი დამთავრდება

+ ამ სიახლით ტაიმი შეიძლება ძაან გაიწელოს და კიდევ ბევრი რამ მოესწროს,

ხოლო თუ გუნდს ტაიმის დასრულება სურს, ჯარიმა (ჯერ) უნდა გაათამაშოს და აუტში მერე დადარტყას

+ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად – არადა, მსგავსი რამ უკვე მრავლად მოხდა მთელ მსოფლიოში, სულ სხვადასხვა დონეზე – მსაჯმა გუნდს სასურველია შეახსენოს: თუ პირდაპირ აუტში დაარტყამთ, თამაში გაგრძელდება

3. თუ შემტევს ერთ ეპიზოდში რამდენიმე (ერთზე მეტი) "საჯარიმო ხეირი" ერგო და შეფერხდა – მსაჯი მის კაპიტანს დაეკითხება, ჯარიმა სად დაგინიშნოთ | სად გირჩევნიათო

4. "ცრუ შერკინებაში" ორივე გუნდი 8 მოთამაშეს აყენებს – ეს "იტალიური წესი" უკვე ერთი წელია, რაც მოქმედებს ჩვენს "დიდ 10"-ში

+ ნუ აურევთ "ნაღდ შერკინებაში" – ამაში, თუ ერთი კაცი გაკლიათ | გაგდებული გყავთ, შეგიძლიათ დააყენოთ 7; თუ ორი – 6; თუ სამი – 5

იხილეთ ▶ წიგნში @ გვ.100 ▶ დებულება 20.1(ე) გამონაკლისი

5. თუ მოთამაშე ბურთის დაუფლებას (დაჭერას) ცდილობს – "ბურთიანად" (ბურთს დაუფლებულად) ითვლება, ანუ

ა) ნება'დართული ხდება მისი დაჭერა | შებოჭვა

ბ) მოთამაშე აუტშია მაშინაც, თუ ბურთი ჯერ არ დაუჭერია – "ხელზე უთამაშებს", მაგრამ კიდეს კი უკვე დააბიჯა

6. გინდაც ბურთმა მიაღწიოს "კიდის ხაზის" სიბრტყეს, თუ "აუტში, ლელოს კიდეზე და უკანა ხაზის გადაღმა" არ დააბიჯებ – კალათ'ბურთულად | აკრობატულად შეგიძლია ბურთით თამაში: ნახტომში დაჭერა და ლელოს დადება; ხელის მირტყმა და მოედანში გადმოგდება ...

7. აზრი დაეკარგა ფეხის "მუდამიანად გადგმას"

რადგან სათანადო მუხლები ისე ჩასწორდა, როგორც აქამდე "უძრავი ბურთის" ალებისას იყო:

ა) მეტოქემ ბურთი მოიგერია, აუტისკენ მოფრინავს, მაგრამ ჯერაც მოედანშია

თუ ცალ ფეხს აუტში გადაგამ და დაიჭერ – ბურთის "აუტში გადატანა" ჩაგეთვლება და დერეფანი მეტოქეს ერგება "ფეხის გადგმის ადგილზე"

ბ) მეტოქემ ბურთი თქვენს ლელოში შეაგორა, მაგრამ არ გადადის ლელოს კიდეზე | უკანა ხაზზე

თუ ცალ ფეხს ლელოს კიდეზე ან უკანა ხაზის გადაღმა დადგამ და ბურთს აიღებ – "დარტყმის ადგილზე" (ადგილიდან!) შერკინება აღარ გერგება

ამიერიდან დაინიშნება "22"

გ) მეტოქემ ბურთი თქვენი ლელოსკენ დააგორა, მაგრამ იქ ჯერ არ შესულა

თუ ცალ ფეხს ლელოში დააბიჯებ, ბურთს აიღებ და შენს ლელოში გადადებ – აღარ გერგება "22"

ამიერიდან ჩაგეთვლება ბურთის "ლელოში შეტანა" და შემტევს ერგება "5-მეტრა შერკინება"

დ) ცალი ფეხი "22"-ში გიდგას და "22"-ის გარედან აიღებ ბურთი

თუ აუტში პირდაპირ დაარტყამ – მანძილს ვეღარ მოიგებ, რადგან ბურთის "22-ში შეტანა" ჩაგეთვლება

გარდა ამისა, "მსოფლიო რაგბმა" ამ კვირაში დამატებით მოიწონა ის სიახლეებიც, რომლებიც 20 წლამდელთა მსოფლიო პირველობის გახსნის წინა საღამოს უეცრად გამოამზეურა და ამ ტურნირში "დახურულ რეჟიმში" გამოსცადა **წყარო** @20/07_2017

რაკი ექსპერიმენტმა გაამართლა, ეს სიახლეებიც **სრულად დაინერგება**: ჩრდილოეთ ნახევარსფეროში – და ამდენად საქართველოშიც – **შემოდგომიდან**, ხოლო სამხრეთში – ახალი, 2018 წლიდან

ეს, დამატებითი სიახლეები იმოქმედებს 2017 წლის **ნოემბრის ტესტებში**, მაგრამ არა **ქალთა მსოფლიო თასზე**, რადგან მანდილოსნებს მათ შესათვისებლად **(თურმე)** დრო ვერ ეყო(ფა)თ

"დამატებით სიახლეთაგან" სამი ეხება ბოჭვა | რაქს და სამიც შერკინებას:

1. მბოჭავი უნდა წამოდგეს და ბურთისთვის იბრძოლოს მხოლოდ ჭიშკრიდან – აქამდე წამომდგარს, საიდანაც მოესურვებოდა, იქედან შეეძლო თამაში

2. ჩასწორდა ბოჭვის შემდგომი ეპიზოდის – რაქის განსაზღვრ(ებ)ა:

ამიერიდან: შებოჭილი, მბოჭავ(ებ)ი და მინიმუმ ერთი, ფეხზე მდგარი, ვინაც ბურთს "თავზე ადგას" (ანუ მესამე) – უკვე რაქია

მაშინვე ივლება თამაშგარეს ხაზი მოედნის მთელ სიგანეზე

"ფეხზე მდგარს" შეუძლია (ხელით) უმაღლეს აილოს ბურთი, მაგრამ როგორც კი მას მეტოქე დაეჭიდება, ხელით თამაში ორივე მხარეს ეკრძალება

კანონმდებლების აზრით, წესის ასე ჩასწორებით გამოირიცხება მახე, რომელიც ინგლისის "ექვს ერზე" წლეულს დაუგო იტალიამ

3. მოთამაშემ ბურთი რაქიდან არ უნდა გამოაგდოს ფეხის მირტყმით – ნებადართულია მხოლოდ (ტერფით) უკან გაგორება

სასჯელი: ჯარიმა

4. მსაჯი 9 ნომერს აღარ ანიშნებს, ბურთი შერკინებაში შეაგორეო

9 ნომერმა ბურთი შუაში (!) უნდა შეაგოროს, მაგრამ შეუძლია ისე დადგეს, რომ მარცხენა მხარი გვირაბის ღერძზე გაისწოროს

კანონმდებლების აზრით, ასე დადგომა უფრო სამართლიანია

5. შერკინებაში ბურთის შეგორების შემდეგ შემგორებელი გუნდის პირველი ხაზის რომელიმე მოთამაშემ აუცილებლად უნდა დაჰკრას ბურთს ფეხი

სასჯელი: თავისუფალი

6. 8 ნომერს ნება დაერთო, (ხელით) აილოს მეორე ხაზელთა ფეხებთან დებული ბურთი

მცირედი სიახლეებია **შვიდკაცაშიც** – ახალი წესები უკვე მოქმედებს "მსოფლიო სერიაში" (2016 დეკემბრიდან) და ევროპის "გრან პრი"ზე (2017 ივნისიდან)

კერძოდ:

1. "თასის ფინალის" ტაიმები 7 წუთამდე დამოკლდა – არადა, ოდითგან 10 წუთიანი იყო

მიზეზი: მოთამაშეთა კეთილ'დღეობა. კვლევით დადგენილა, რომ გაზრდილი დატვირთვის გამო ტრავმიანობა კატასტროფულად მატულობს ტურნირის ბოლო მატჩში – "თასის ფინალში"

2. თამაშის ასაჩქარებლად დადგინდა შემდეგი დროითი ზღვრები (ლიმიტები):

ა) შერკინება და დერეფანი უნდა დაეწყოს 15 წამში


დრო აითვლება შერკინების ადგილის ტერფით მონიშვნიდან | დერეფნის ადგილის მითითებიდან

ბ) ნებისმიერი (ფეხით) დარტყმა –

1) გარდასახვა; 2) ცენტრიდან დაწყება | განახლება ან "22"; 3) ჯარიმა ან თავისუფალი –

უნდა შესრულდეს 30 წამში

დრო აითვლება: 1) ლელოს ჩათვლიდან; 2) წინა დარტყმის შესრულებიდან; 3) დანიშვნიდან



თუ რომელი მუხლი როგორ ჩასწორდა სიტყვა'სიტყვით, სამაგისო – წიგნში ჩასაკრავი | ჩასადები ფურცელი – აგვისტოში მომზადდება